

გაზეთის ფასი:

ხელის-მოწერა მიიღება:

ქრონოსი

საკლბიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამომცემი

1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემლის ხელში.

ხელმოწერილი ფასი:

გაზეთით თბილისში და გარეშე ადგილებში:	გაუზგანელოთ:
ერთის წლისა	7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა	4 — — — 3 — 50 კაპ.
სამის თვისა	2 — 50 კ. 2 —

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევით.

ხელი მოიწერება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბელოუსკის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: В. Тифлиси. В. Контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“.

შინაარსი: — პოლიტიკა შრანცია. — ავსტრია. — მეექვსე ტირაჟი მოგებათა. — ბიოგრაფიული შაკაძის ცხოვრება. — დროების კორრესპონდენცია. ფელეტონი: — არც თქვენი არც ჩვენი, მაშ შუათანა იყოს. — საბიბლიოგრაფიული ცნობა. — დამატება: ტელეგრაფები. — სახანონო განცხადება.

პოლიტიკა.

8 იანვარს გაზეთი „რუსის ინვალიდი“ ამბობს: პრუსიის და შრანციის გაზეთები ერთმანეთს ეალერსებებიან და არწმუნებენ ურ-

არც ჩვენია არც თქვენი, მაშ შუათანა იყოს.

თქვენი უმორჩილესი მონა მოსამსახურე უმდაბლესად თავს დაგიკრავთ საზოგადოთ ქალბატონებო და ეაქბატონებო! . . . თქვენთან ცოტა რამ მოსხენებელი ამბავი მაქვს და თუმცა ჩემამეგობარმა მიჩნია, რომ სხვა ენაზე რომელიმე მომესხენებია და არა ქართულს ენაზე, რადგანაც ყოველივე ქართული საზოგადოთ და მსთან ენაც შეძლებული გაქვს და ყურს არ ათხოვებთ ხოლმე, მაგრამ მე მაინც ჩემს სასარგებლოდ მოგასხენებთ ქართულათ, იმ იმედით, რომ ჩემის მოხსენების საგანი, დარწმუნებული ვარ, ყველას საზოგადოთ გამოგაცქვეთინებსთ ყურებსა და ძალა უნებურათ იკადრებთ ამ შემთხვევაში თავის დამდაბლებას და დიდს საუკარბოსოთ ჩვეულებრივთ აღარ დაირჩენთ ქართულს ენას. ეს საგანი გახლავთ ქორწილი: ქორწილი. . . ღიბ მე მსურს რომ დენიმე სიტყვა მოგასხენოთ ქორწილზედ საზოგადოთ. ძველ დროებას მე არ მოვსწრებოვარ და ამისათვის ვერრას გაამბობთ, თუ როგორ სცოდნით ქორწილის გადახდა საქართველოში. მანსენებელი პაპა ჩემი კი ბევრს დასწრებია და თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, გირჩევთ, რომ ზოგიერთს მოხუცებულებთან, არა წლოვანებით, მაგრამ კუთით და პატიოსნებით ბებრებთან, წაბანდეთ და იმათა ჰკითხოთ; ისინი გაამბობენ და ძალიან კარგსაც იქმთ, თქვენმა მზემ . . . მე კი

თიერდს მეგობრობაზე. — „მეხერის გაზეთი“ ამტკიცებს: არც ერთ სახელმწიფოს იმდენი ღონე არა აქვს, რომ მარტო-მარტო გამოვიდეს საომრათ, რომ მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა რამდენიმე სახელმწიფო ერთად შეკავშირდებიან, მაგრამ ამ ჟამით ისეთი მდგომარეობაა, რომ სრულებით არ მოხერხდება რამდენისავე სახელმწიფოს ერთად შეკავშირება. აი ამის გამო ყოველს სახელმწიფოს ეშინიანთ, რომ ჩხუბის მოთავეთ გახდესო. მაგრამ ბევრი უცხო-ქვეყნის გაზეთები კი ამტკიცებენ, რომ „მხოლოდ ახლანდელს ქორწილის ჩვეულებზედ და ხასიათებზედ გიანბობთ, რომლის მაგალითიც ენახე ერთს მდიდრულს და ჩინებულს ქორწილში ამას წინათ. იმერეთში ხშირათ შეხედებით მოხუცებულს კაცსა, რომელსაც თავი წითლათა აქვს შედებილი ინით, უღვაშები შავით გუნდა-ლახუსტაკით (ბასნით) და წვერები კი თეთრათ დარჩენილი. ჰხედავთ, არ იცით, თუ რა ანბავია და რომელს ერთს დაუჯეროთ. რომელი სტყუის და რომელია ნამდვილი მოხუცის ფეროვნებაში. თქვა, უღვაში თუ წვერი? ერთს აქრებულს რასმე ხედავთ მტეს ვერა ფერს მისს თმანობაში. სწორეთ ამ გვარი მოხუცებული მომავონა იმ ქორწილმა თავისის სიკრელით: იქ ქართული და ევროპული ჩვეულებები ერთმანეთის ეჯახებოდნენ და კინკლაობდნენ. თუ რა ნაირათ, ამასაც გაიგებთ, როდესაც ავიწერთ, რაც ენახე იმდღეს იქ და რაც შევნიშნე. როდესაც შევედი ზალაში, ენახე, რომ სახლი ჰქრელათ ირეოდა, რადგანაც მათი მორაულობა ქართულ-ევროპული იყო და მასთანაც ერთი საშინელი გუგუნე იხმოდა, ქართული, თათრული, ფრანკული და რუსული ხმები ერთმანეთში არეულიყო, ამ გვარმა სანახაობამ მომავონა რამდენიმე ტიპი ადრევე ნათქვამის ლექსიდან.

მე ქართულთა, ანა მითხარ ვინა ხარ?
 მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზედ წინა ახარ,
 უცხო კაცად არ ვარგებარ, აღარცარა შინა ხარ,
 მათა შუა ავდინარ, უზრუნველათა ჰხინარ.

ერთი სახელმწიფო არისო, რომელიც მუდამ აშფოთებს მეგობრას. ისინი პირდაპირ რუსეთზე აჩვენებენ. ამ დღეებში არ იყო, რომ ფრანკული გაზეთებში („პატრი“) წაეკითხეთ ამგვარი დაწამება. „თუ მომხმარებელი არ ეყოლა, რუსეთი მარტო ვერ გახდებოდა ამის დაწყებას მსაღმართან; მაგრამ თუ მეგობრის სახელმწიფოებს შორის იმ ატყელ, მაშინ კი იშოვნის რუსეთი იმის დროს. ამის გამო ის ძალიან ცდილობს წაჰკიდოს მეგობრის სახელმწიფოები ერთმანეთსა, რომ ამ ჟამით ისარგებლოს და აღმოსავლეთში თავისი განზრახვა შეასრულოს. მეორე გაზეთი (Independan. Belge) ასე ამბობს: „მაგას ეჭვი არ უნდაო, რომ რუსეთში არის იმისთანა პარტია, რომელიც იმედობსო მსაღმართის განაწილებას; ამ პარტიას ბევრი აგენტები (მმოქმედი გვამები) ჰყავსო იმ თემებში, რომელნიც მსაღმართს მფლობელობისა, ან და მოკიდებულების ქვეშ იმყოფებიან. ამ აგენტებს შუა ალაგათ ხელგრადის ქალაქი ამოურჩევიათ. „რუსის ინვალიდი“ ამბობს, ჩვენის მხრით, არც კი ღიროთ თავის გამართლება; დასამტკიცებელი საბუთებიცა რომ თავი ვიმართლოთ, მაშინაც არავინ დაგიჯერებსო. ჩვენზე დამტკიცებული უცხო-ქვეყნის სტამბა ყურადღებასაც არ აქცევს ჩვენგან გამოცხადებულს ნამდვილს სურვილს და განზრახვას, ნიდაგ გვეწმებს ცილს და ტყუილს გვიგონებს. მაგრამ რაც უნდა იყოს, ცხადს მაგალითებს მაინც უნდა ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა და აი ჩვენცა გვსურს ამ მაგალითების მოყვანა, რომ ამებზე მაინც შევახედოთ ჩვენს მტრებს. ერთი ბრძანოს გაზეთმა

(პატრიმ), რა ამბები მოხდა გავილს წელიწადში? შარსულის წლის დამდგეს პრუსიასა და შრანციას შუა ატყელა განხეთქილება და, ის იყო, კინაღამ იმე არ დაიწყეს ერთმანეთში. ჰველაზე უფრო რუსეთი არ იყო, ეცადა, რომ მშვიდობიანათ გათავებულიყო ეს განხეთქილება? მართლა რომ რუსეთს გულში ჰქონოდა მეგობრის სახელმწიფოების ერთმანეთთან წაქიდება იმ აზრით, რომ აღმოსავლეთის საქმეში ესარგებლებინა, ჩემის აზრით შარშანდელისთან კარგი დრო იმპერატორის მმართველობას თითქმის არაოდეს არა ჰქონია, მაგრამ იმპერატორის კაბინეტმა ყოველი საშუალება იხმარა, რომ უკმაყოფილება მოესპო და მშვიდობიანობა მოეხდინა. აბა „პატრიმ“ ავებისხას, რა აზრით იყო ეს შესანიშნავი მოქმედება რუსეთისა? მეორეს მხრით რუსეთი გულს მოდგინეთ ცდილობდა, რომ ძანდაზე იმე შემწყდარიყო და მსაღმართის ქვეშევრდომ ქრისტიანების მდგომარეობა გაუმჯობესებულ იყო. თიეიდგან დაწყებული ბოლომდის რუსეთი ნიდაგ იმის ამბობდა, რომ ამ დიდის საქმის ასრულება მხოლოდ მაშინ შეიძლებაო, როცა მეგობრის ყველა სახელმწიფოები ერთის აზრისანი იქნებიანო ამ საქმეში. აი ცხადი მაგალითები, რომელთაც ყველას თვალის წინ წარვადგენთ, ვინც კი ამბობს, რომ რუსეთის პოლიტიკას აღმოსავლეთის საქმეში ანგარების მეტი მხედველობაში არა აქვს რაო. მართა მენის გაზეთმა ამ დღეებში გამოაცხადა, რომ მსაღმართს მთავრობის უბედურება ის არისო, რომ სხვა სარწმუნოებას ძალიან პატიესა სცემსო და შეუგინებლათ იცეს; ეს სარწმუნოების პატიეს-

მქონდა, რომ მეტს აღარ იმდერებდა და მართლათაც ცოტა ხანს შეისვენა; მაშინ დაუკრეს სალამური, თარი და ქიანური. ეს ხმები კი მართლა და მოსაწონი იყენენ. მაგრამ ვინ მიუვდო ყური? მე კი იმ ხმებმა, განსაკუთრებით სალამურის გრძნობით ამოკენესამ, ჩვენის ძველი ცხოვრების სურათი წამომიყენეს თვალთ-წინ. მინ იცის, რამდენი რა სამწუხარო და გულ-საწყვეტი მაგონდებოდა. მაგრამ ჩემად საუბედუროთ ჩვენმა ბუღბუღო-მომღერალმა ისევე უეცრად შემოსძახა; აილო თავი მალა, ააყვრილა ზეცისადმი თვალები და შეჰკივლა მისი გაუსხლტეტილი „აბალამ“ „ბაბალი“, ასე ეგონებოდა კაცს, რომ საწყალს სიხარული გაჰფრენია და ახლა შეჰყვირის, ნუ მიჰფრინავ, ვეღარ წახვალ, ვეღარ წახვალ, უნდა მოგწვედე დაგბარუნო და ისევე აქ ქვეყნიურად ჩამოგიყვანო, მაგრამ სანამ ის სიხარულს და სიამეს ქვეყნად ჩამოიყვანდა, მე კი ჩემი გადამიწყდა ყურებმა წივილი დამიწყე და გარეტებული ისევე ზალაში გამოვარდი. აქაც ერთი ხათბალა: მისი გავეყარე და ვუთხრე შეეყარე: მეორე ოთახიდანაც ერთი საშინელი „ტრატა, ტრატა!“ მომესმა: მაგრამ ისევე კი მოსწონდათ ზოგი ერთებს ეს ხმები, რომ ნაზათ თავს აქნევენ და იძახდენ ამოხერით: „მე, რა ტუბილი ხმა არის სასმენლის დამატკობელიო. პრა ჰგავს სალამურსაო“. ღიბ მართლბო ბრძანებენ, ვერ დაეძრახათ ისე გაუზღიანთ ყურები და რაღა ვაეწყობათ? . . . ამ დროს დაიძახეს „მოდიან“ და ორმა კაცმა შესაჯე-

ცემა არ იყო მიზნით, რომ 1856 წელს მს-
მალომ მიანიჭა თავის ქვეშევრდომს ქრისტი-
ანებს მეროპის სახელმწიფოების მფარველო-
ბა? ამ გაზეთის აზრით 1856 წელმა ოსმა-
ლოს ქრისტიანებს დიდი სარგებლობა მოუ-
ტანა იმითი, რომ მარტო ერთი რუსეთის
მფარველობის მაგივრად, მიეღმა მეროპის სა-
ხელმწიფოებმა ძილეს თვის საფარს ქვეშე
აღმოსავლეთის ქრისტიანობა. მაგრამ მენის
გაზეთი ამასაც არ სჯერდება; იმას უნდა, რომ
სახელმწიფოებმა აღმოსავლეთის საქმეებს თა-
ვი დაანებონ და არ ერეოდნენ ხოლმე აღ-
მოსავლეთის საქმეებში. უნდა ვიფიქროთ,
რომ რადგან ქრისტიანები მალე განუღებო-
ნან ოსმალეთსა და ოსმალეთი მარტო ვერ
გაუძლებს ამ აბუტებულს ხალხსა, მაშინ ეს
და დარჩება მოსაქმედებლათ: პორტსთან უნ-
და შეკავშირდნენ მეროპის სახელმწიფოები,
რომ განდგომილს ქრისტიანებს წინააღუდ-
ნენ. აი ვენის გაზეთის სიტყვებში ეს აზრია
გამოყვანილი. ალბათ ეს აზრი ბევრს მოს-
წონს და აი ამის გამოც ასტყდომიან ასე
რუსეთსა.

შრანციანი. ოსმალეთის მომზა-
დება შრანციანში. შრანციანში ძალიან მო-
მზადება ხმელეთისა და ზღვის ძალისა. ნავთ-
სადგურებში და საადმირალტეოში საქმე დღეს:
აკეთებენ სხვა-და-სხვა სიდიდისა და რიგის
გემებს, რიცხვით 39; იმათში 4 აბჯროსანი გემი,
სულ ახალ შემოდებულ რიგზე კეთდება, ესე
იგი ხისაგან და რკინისაგან. ამ აბჯროსანებ-
ში ერთსა ჰქვიათ „მკანე“, ამ აბჯროსანებ-
ზე ბატარეაში 8 ძალიან მძიმე ტანის ზარბა-
ზანი იქნება, 4 კოშკებში. მსლა ამ გემის
ტარანს (გემის თაღთა ნაწილია) ასხმენ და სა-
შინელი დიდი იქნება, ქვემო ნაწილი წონით
იქნება 1,500 ფუთი. იმავე გვართ აკეთე-
ბენ კიდევ 4 აბჯროსან კორვეტსა, რომელ-
თაც ექნებათ ბატარეაში 2 ზარბაზანი ყვე-
ლა მხრით და გემისბანზე (პალტუბზე)
უძრავ კოშკებში 4 ზარბაზანი, თითოში თი-
თო. ამ გემების ტარანები სპილენძისაა, და
ამბობენ მაშინის მოწყობილებისაგან ძალი-
ან ჩქარი სიარული ექნებათ.

შრანციანის ფლოტი შესდგება 348 ცეცხ-
ლის გემისაგან; ამას უნდა დაუმატოთ 116
იალქნიანი გემი. სულ ზემოხსენებულ 39
გემიანთ იქნება 503.

კარებში ორი ხრმალი აიღებს მალა, გადა-
ჯვარდინეს და ისე გამოატარეს ქვეშ მეფე-
დროფალი, რომელსაც კარებს წინ დაუდგეს
თეფშები. იმათ ფეხი დაადგეს და ქურქულმაც
ლაწანი შეადინა! ხრმალი-ქვეშ გამოატარება
ნიშნავს მტრის მოგზავრებას და მანენსაგან
განრინებას; თეფშების დამტრეფვა კი მტრის
დამარცხებას და გატყნას; ეს ყოფილა საზო-
გადო აზრი, მაგრამ ჩემი აზრი კი უფრო სხვა
გახლავს: ახლა კი მიხვდით, თუ რათ გეჩე-
ვია ქართველებს ბედოვლათობა? თურმე ქო-
რწილში გვეკვებება! ხომ ჩვენი მამებიც თუ-
რმე ისე დამტრეფდნენ თეფშებს და მას რა-
ღათ გიკვირსთ, რომ ჩვენც შეძენისა და გა-
კეთების მგერ ყველაფერს ვამსხვრევთ და
ვბედოვლათობთ?! მეფე დედოფალი რომ სა-
ხლში მობძანდნენ და დივანზედ ჩამოსდნენ
და იქ მყოფს სტუმრებს თითონ აუყვას, ჩე-
ულებსა მებრ, კახეები შამფანსკით და მიუ-
ლოცეს გაბედნიერება.—ბევრი მათგანი კი
მისთვის უფრო მოდიოდა მათთან, რომ კარ-
გათ დაეთვლიერებია მეფე-დედოფალი და
რამე წუნი ეპოვნათ ერთ-ერთში და მეორეს
დღეს ჩამოეცლოთ ვინც იმ ქორწილში არ
ყოფილან და მათთვის ეანბოთ, მაგრამ ღეთის
მადლით იმ დღის მეფე და დედოფალი ისე მო-
ხდნით ერთმანეთის შესაფერნი იყვნენ,
რომ კიდევ სურვებოდათ ვისმე მათზედ ძვირი,
სეინილისი აღარ გააბედნიერებდა და ენას ჩაუ-
ბამდა.—შემდეგ შემოიტანეს ხონჩით ნიშნის
შაქარი და დარჩეს. თურმე ვისაც გასათხო-

შქანასკნელ მოსულის ამბებით, საშუალ ქვე-
ნის ზღვის ანგლიის ფლოტს ბძანება მიუღია,
რომ რაც სურსათია საქირო, თადარიგს შეუდგეს
და პირვილ მიღებულ ბძანებაზე მზათ იყოს
გამგზავრებაზე. ღროებით დათხოვნილი აფი-
ცრები მრავალი მოუწოდებთ; ზღვის ფლო-
ტის რეზერვი ერცელდება და ვარჯიშობს ზა-
რბაზნის და თოფის ხმარების სწავლაში. ძა-
ლიან საქირო გემებს გარდა, ყველა გემები
დაუბარებიათ შორის სტანციებიდგან. ტულონ-
ში მზათ არის გემები, რომ 40,000 ჯარი და-
ჯდეს.

იმპერატორის ნაპოლეონის წერი-
ლი უ. ლარაბის სახელზე. იანვრის 9
(ქრისტიანობის 26) იწერებინან პარიჟიდგან
„სანაციონალო გაზეთში:“ იმპერატორის ნა-
პოლეონის წერილმა, სენატორის უ. ლარა-
ბის სახელზე მიწერილმა, პარიჟის ხალხში ძა-
ლიან ლაპარაკი გაჩაღა. უ. ლარაბი მარშა-
ლის ღაფუს სტატუსის კურთხევაზე იყო ოქ-
სერში (იმ ქალაქში, სადაც შარშან იმპერა-
ტორმა ნაპოლეონმა გამოსტყვა უარის ყოფა
1815 წლის ტრაქტატებისა) და წამოსტყვა
სიტყვა, რომელზედაც ამ გვართ ილაპარაკა
მარშალ პანრობერთან მიწერილს წიგნში: „მი
წერილით მოგახსენე მის უმალღესობას, რომ
ოქსერში ვაპირებ სიტყვის წამოთქმას იმ
აზრით, რომ გავიციხო ვისაც მშვიდობიანო-
ბა ჰსურს, ამისთანა დროს, როდესაც მახვილი
უნდა ვიშვილოთ.“ იმპერატორმა ამ უწყე-
ბის პასუხათ მისწერა უ. ლარაბის, იმ დროს
როდესაც უნდა დაწყებულიყო ბაასი ჯარის
როგორგანისაციის პროექტსა: „სენკლუს სასა-
ხლემი, დეკემბრის 2-სა 1867 წ. საყვარელო
უ. ლარაბი! მე ფრანციის სიყვარულის
გამო წავიკითხე თქვენგან წარმოთქმული სი-
ტყვა ოქსერში, მარშალის ღაფუს ძეგლის
კურთხევის დროს. თქვენ სიტყვას თავით ბო-
ლომდის მალაღი პატრიოტული გრძნობის
ბეჭედი აძევს. არ მიკვირს, რომ თქვენს
სიტყვაში გამოთქმულია ის კეთილშობილუ-
რი გრძნობა, რომელიც როგორც ვუწყვი,
თქვენა გაქეთ შრანციისადმი და ჩემის გვარის-
სადმი. მიიღეთ ჩემ მადლობის გამოთქმასთან
ჩემი თქვენდამი გრძნობის რწმუნება. ნაპო-
ლეონი“.

ამ დღეულეებისაგან ო. შატო დ'ო-ში
Ind. Belge-ში სწერს კორესპოდენტ: მს

ვარი ჰყავს ქალი, იმან უნდა შესჯამოს ის
შაქარი და ქალი უცებ გაუთხოვდება.—რასა-
კვირეელია, რომ ამ შაქრებს ბევრმა მოაგლო-
ხელი ასე, რომ მოსწრებაზედ შეიქმნა საქმე.
მართს დედას მეტის სიჩქარით გაუჩერდა ყე-
ლში შაქრის კარგი მოზღდილი ნატეხი და რომ
წყლით არ გაეღობოთ და დაედნოთ ის შა-
ქარი შიგ ყელში, თქვენი მტერი რომ იმას
საქმე მოუვიდოდა, მაგრამ რა გაეწყობოდა
შვილის სიყვარული ბევრს სიმწარეს გამოა-
ცდენინებს კაცს, თორემ შაქრის ყლაპვა კი-
დეც არა ფერია.—თუ შაქარიც არ ჩაყლაპონ
ჩვენში დედებმა, მაშ რაღათი დაგვიმტკიცონ
„ვილის სიყვარული?—ამასაც რომ მორჩენ,
გამართა ტანცი-მანცი ქალბატონების სასიხა-
რულო და ბოლოს, როდესაც დაიღაღენ
გახსენდათ ჩვენი საწყალი ლეკურიცა...
მართლა ბევრს უნდა, რომ ეთამაშნა ლე-
კური,—მაგრამ ერცხენებოდათ, „მოღა“ აღარ
არის და დავგძახებენო, ამის გამო პირველათ
გამოხტომა ყველას ეჯავრებოდა და ჩვენი
ტაშიც ტყუილათ იკარგებოდა.—რათი იქნა,
გამოძანდა ერთი ქართველი დიდი ამბით და
დატრიალდა, ცოტა მეტათ მსუქანი კი გახლ-
დათ (რადგანაც ქართველია და უძილობა,
ბევრი საქმე, და ცოტა ჰამა სჩევიდა უთუოთ);
მაგრამ მინც მარდათ დაუარა ლეკური; მეო-
რე კი მართლად მშვენიერათ თამაშობდა ლე-
კურს, ასე რომ მისმა მტკრეტელმა მადლობა
შეგსწირე და ესტყვი; გმადლობ ღმერთო,
რომ ქართული ცეკვა მინც ზოგეირთებს

იყო, ვთქვი, რომ თოვლია ჩაჩუმა ყრუ
გრავინა ვულკანისა, მე შევედი, ვულკანი
ამ დღეებში გრავინადა. მს გრავინა მარ-
თალია ცოტა საეჭვო იყო, ჰგანდა უფრო
ქუჩის ბიჭის მტვირს უეცარ კასკასა, ვირემც
გამოღვიძებულის ლომის დმუილსა. რადგანაც
უ. ბაუსმანმა დააშენა პარიჟის ქალაქი გა-
ნიერ ქუჩებითა და გატყეკილ ტროტრუა-
რებითა, ამიტომ ყმაწვილ-კაცობამ იფიქრა,
რომ უ. ბაუსმანს მარტო უნდა, რომ იმა-
თვის საცურაფი ადგილი გაეკეთებინა და ყმა-
წვილ-კაცობამაც დაიწყო ცურვა, რაც ძალი
ჰქონდა. ხანში შესულები, რომელნიც სხვა
სცენებზე იკეთებენ საცურაფებსა, იმას ამბო-
ბენ, რომ ტროტრუარები მარტო სასიეროთ
არის გაკეთებულიო. და რაკი პატარა თოვ-
ლის ქირხლი დაედება ტროტრუარებსა, მა-
შინვე მახეთა ხდება და ხალხი თავ-პირს იმ-
ტრევესო. პოლიციამ, რასაკვირველია, ამ კონ-
სერვატორების მხარე დაიჭირა და რაკი მხედ-
ველობაში აქეს, რომ 19 იანვრის პროგრამა-
ში არ არის მოხსენებული საცურაფზე ღლი-
ნის გაწევა, დააპირა ხალხის გარეკა. მაგრამ
რიგიანათ ვერ მოახერხა. პოლიციის მოხე-
ლები დაახლოდნენ და ცეცხლს უფრო შე-
უკეთეს. ხალხის დაცივამ დააბრკოლა თავ-
მომწონებო პოლიციის პატრულის თავისა
და შეება ხალხი; კახარმის ფანჯრებს დაუწყ-
ყეს ქვის სროლა, მაგრამ ბოლოს მინც სჯუ-
ლის მხრივ დარჩა ძალი. თუმცა უც შემთხვე-
ვა მქრალია, მაგრამ ბევრნი იცნებან ცილ-
ვიან და რომელნიც ადარებენ რა ამ პარიჟის
ცეკვების არეულობას ხალხის მდგომარეობას-
თან ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში, ამ-
ბობენ, უფრო არა სჯობს, რომ დარბის ხალხს
დაანებონ მშვიდობიანათ დაცხაროს ამ ეკო-
ნომიურის ღონისძიებით თოფის წამლის გა-
იაფებასაო.

პსტრიბ. ბიოგრაფიული აღწერა ა ე-
სტრიის ახალ სამინისტროს წევრები-
სა. თავადმა პარლოს აუერსპერგმა
მიიღო საუკეთესო აღზდა, მაგრამ დიდი ხანი
სამსახურში არ შესულა, მხოლოთ თავის
ოჯახში სცხოვრებდა და მეცნიერებაზე იყო
მოკლილი. საპოლიტიკო ასპარეზზე მხოლოთ
1861 წელს გამოჩენილი ადგილი დაიჭირა.
რადგანაც ლიბერალი იყო ამიტომ გულმხურ-
ვალეთ მიიღო მონაწილეობა, რომ პესტრია

არ დავიწყებიათ. ამ ორს გარდა სხვებმაც ბე-
ვრმა იცეკვეს რიგიანათ. მათს რიცხვში ერთი
ყმაწვილი გამოჩენილათ თამაშობდა, მაგრამ
არა შენოდა, რადგანაც ფრანკის ბოლო კი-
ბორჩხლის კუდივით ეტყაუნებოდა ხან ზუ-
რგზედ და ხან უფრო ქვეით. ამათმა თამაშმა
ქალებიც ეშხში მოიყვანა და მათაც იკადრეს
ლეკური. —ამოვიდა სცენაზედ ერთი მშვენი-
ერი ქალი და დაუარა დაელორი, მაგრამ რა
გრძნობით და რა ეშხით!... მარდივით
ტურფათ გაიშალა იმ დროს! — მიკვირს ქა-
რთველი ქალები, რომელთაც ისე უხდებათ
ლეკური, ტანცი-მანცებში რაღათ იხრუკებან?...
მაგრამ შინაურს ღედელს მადლი არა აქესო
ნათქვამია! ტურფას ქება შესხეს ტაშის კერით.
წითელმა კაბამაც გამოიწვია ლურჯი კაბანი.
დაუარა მშვენიერმა კეკლუკათ, აიღო ხელ-
ში ყურთმაჯის წვერი, გაიკცთა მკლავსა და
ყურთმაჯს შუა პატარა სარკმელი და დაელო-
რის დროს აქიამ გამოაკაფა ნაპერწკლის
მსროლი თვალები. მაი მას, ვის დამონებასაც
ის თვალები მოინდომებენ!... ამანაც გაა-
თავა. მამოხტნენ ორი ძლიერად და დაიწყეს
თამაში, ცდილობდნენ ერთი-მეორესთვის
ეჯობნათ; მაგრამ ორთავე გამარჯვებული და-
რჩნენ, მათ შემხედვარეს მე სწორით გაზა-
ფხულის პ. პლების კინწლობა მომგონდა...
ბოლოს გამოვიდა სალეკურით ერთი კიდევ.
იმის თამაშს ავიწერთ ერთის იმერლის სიტყე-
ბით, რომელიც დღესაც სიამოვნებით იგო-
ნებს მასს: — „ახლა, ჩემო ბატონო, ერთიც ენა-

სხვა კონსტიტუციურს სახელმწიფოებზედ ეკა-
წეოს და 1861 ჩებიაში კონსტიტუციის შესა-
რე ეჭრა. ჩებიაში ამორჩეული ჩებების სე-
იმის წევრათა, როგორც აზნაურთა კონსტი-
ტუციის მომხრე პარტის წინამძღვარი, ყველა
საქირო საქმეების განხილვაში და გადაწყვე-
ტაშეკონსტიტუციის მომხრე ნემეცებთანა ერ-
თათა შრომობდა. მახდა რა თავმჯდომარეთ
აზნაურთა პალატისა, რომლისაც წვერი იყო
ჩამომავლობითვე, დიდი ხერხიანობა გამოა-
ჩინა, რომ განხეთქილება და უსიამოვნო სცე-
ნები არ მომხდარიყო. 1867 წელს თავადი
აუესპერგი ხელმეორეთ ამოარჩიეს ჩებების
სემის წევრათა და ძალიან ცდილობდა, რომ
კონსტიტუციურს პარტიას გაემარჯვა სემში
სხვა პარტიებზე. ამან თავზიანი მოპყრობა
იცის და ისე კეთილშობილურათ უჭირავს
თავი, რომ უ. შონ-შმერლინგმა იმაზე წარ-
მოსტყვა, რომ საუცხოვო კავალერიო მთელს
პესტრიაში. ბრაფი მდუარდი ტააფე,
თავ-მჯდომის თანა-შემწე და სამხედრო
პოლიციის დეპარტამენტების უფროსი მარ-
ტის 7-სა. 1867 წ. დაინიშნა შინაურ საქმე-
ების მინისტრათ. იმავე წელს მარტში გრაფი
ტააფე ამოარჩიეს ჩებების დიდ მამულის მეზა-
ტრონეთა ჩების სემის წევრათა და მასუკან
მალე სემმა დანიშნა რეისხრატის დედეგატო.
ბრაფი ტააფე სასახლეში ძალიან მიღებულა
და მეგობრულათ უყურებს იმპერატორი, რად-
განაც იმპერატორის სიკმაწვილემი თამაშო-
ბის დროს ყოველთვის იმასთან იყო. ახალ
შედგენილ სამინისტროში ტააფემ მიიღო გამ-
გებლობა იმ საქმეებისა, რაც შეეხება პესტ-
რიის დასაცველათ ღონისძიების მომზადებასა.
დოკტორი პარლოს ჰისკრა (სლოვენის
ჩამომავლობისა) მინისტრი შინაურ საქმეები-
სა დაიბადა 1820 წ. მორავიის-ტრუბაუში.
მამა ჰყვანდა ქურქი. თავის შვილს მისცა
რიგიანი სწავლა ნემეცურათ. 1845 წ. ჰისკრა
დანიშნეს ჯერ ასისტენტათ მერე ვენის უნი-
ვერსიტეტში პოლიტიკურ საგნების პროფე-
სორის ადიუნკტათ. მისის 15-ს 1848 წ.
ჰისკრას სახელი პირველათ შეიტყო ხალხმა.
ჰისკრა ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, რომელ-
თაც ამ დღეს სიტყვა წარმოსტყვეს. 1861
წლიდგან ჰისკრა გამოვიდა საზოგადო მოღ-
ვაწეობის ასპარეზზედ; ყველას ახსოვს ის მო-
ნაწილეობა, რომელსაც ის მიიღებდა ხოლმე

ხოთ, ხელიკივით გამოხტა ერთი ტურფა მზეთ-
უნახავი ქალი, მიხელიკინდა, მოხელიკინდა,
გახელიკინდა, გამოხელიკინდა და გაჩერდა ზე
კაკალ შუა-ადგილას. დეიწყო, ბატონო, ჯარა-
სავით ტრიალი. იტრიალა, იტრიალა—დედა
დედა, რატომ ტარაბუა (თაგბრუ) არ დეცხსა,
მაგრამ თურმე ეშხაკი და მანდილოსანი უცებ
მოხტა ჩემთან, დეიწყო ფხვების სუტქური,
მერე ერთი უცბათ ვაქრა შევარდნივით და
თურმე ქვეით-ქვეით ჩავგებულეყო... მისი
ფხვების ჰირიმე, ის რომ ჩემი ცოლი იყოს,
იმ ფხვებს ხიზილალაში ჩავაყოფინებდი, ისთე
შევიანახავდი. თქვენ ნუ მომიკედებთ... „არ
შეიძლება, რომ ამ იმერელს არ დაუჯეროთ;
სწორეთ მართლის გულით გვიამბობ; თავის
გრძნობებს. სხვებმაც ბევრი იცეკვეს, მაგრამ
არ დაშვენდათ, რადგანაც ევროპიულათ ეცვთ
და ისე იყვნენ კარსეტებით გაძაგრული, რომ
სულის ამოღება უჭირდათ და რაღა ლეკურს
მოახერხებდნენ?! ვახშმის უკან გაახურეს ლე-
კური, მაგრამ იქ უფრო ბახუსს ეთამაშებო-
დნენ და რადგანაც მასინძლის სახეს შეეა-
ტყვე ეს სურვილი:
აკაკაჩია, ბაკაკაჩია,
ზისვამთ, გიქმიათ,
ზხა გაგაჩნათ.
ამისთვის თავი დაუქარ და მეც წამოველი.

კრებებში იმ დროს ახლათ დაწესებულ რე-
ბსრატისა და საფუძვლიანი და დამარწმუნე-
ბელი სიტყვები, რომელსაც ის წარმოსთქ-
ვამდა. ჰისკრა ძალიან ენერგიული და გამბე-
დავი კაცია; რაკი ერთხელ აზრი დაინიშნა,
იმის აღსრულებას აღარ მოეშვება. უ. ჰისკ-
რას ნიჭი ძალიან შეეფერება შინაურ სა-
ქმეების მინისტრის თანამდებობასა, რადგანაც
შესანიშნავი ადმინისტრაციული ნიჭი აქვს.
მს ნიჭი საკვირველათ აღმოაჩინა წარსულს
ომიანობაში, როდესაც პრუნიში ბურგმისტ-
რათ იყო (ქალაქის პირველ ჩინოვნიკათ).
პრუსიის გაზეთები ჰატივის ცემით იხსენიებ-
დნენ ჰისკრას და იმას ანიშნებდნენ, როგორც
პეტრიის მომავალ მინისტრსა. იმათი წინა-
თქმულობა მართლა ასრულდა. პრუსიის კა-
როლი და მემკვიდრე დიდათ აფასებდნენ ჰის-
კრას; ამბობენ პრუსიის მემკვიდრე წარუდ-
გინა რა კაროლს ჰისკრა, უთხრა: "მამაო, შენ
წარმოგიდგენ ყოველად შესანიშნავს კაცსა მრ-
თელს აესტრიაში."

— Русск. Инв-დგან ეითომ რუსეთში
ომიანობის გუნებაზე არიანო, ამ პორებს მე-
როპის გაზეთები აგდებენ; მაგრამ შრანციაში,
მაგალითათ, საზოგადო ჰაზრს ძალიან სჯერა
ომიანობის მოხდენა; ამას თითონ შრანცი-
ზული გაზეთები გვიმტყობენ. სტატიაში
Pourquoi la France ne se rassure pas (რატო
შრანცია არ იჯერებს) ფრანციზული გა-
ზეთი „როგება“ (Temps) ამბობს, რომ ეხ-
ლანდელი მდგომარეობა საქმეებისა—ისე ძა-
ლიან უცნაურია, რომ სულ იშვიათია. „ჩვე-
ნი მმართველობა, ამბობს ფრანციზული
„როგება“, ძალიან ცდილობს, რომ შრანცია
დაამშვიდოს, მაგრამ იმისი მეცადინეობა უნა-
ყოფოთა რჩება.“

მემაჰსა ტირაჰი მოგებათა

თითო მოგება ხუთასი მანეთი

სერის ბილეტი.		სერის ბილეტი.		სერის ბილეტი.	
N	N	N	N	N	N
12,287	6	9,529	3	5,757	46
8,710	15	15,559	40	7,938	13
11,287	32	13,655	27	5,953	28
3,613	27	6,576	12	16,077	44
13,305	4	6,149	6	12,711	8
303	46	4,273	26	13,260	24
14,296	13	10,107	38	6,729	16
8,170	43	15,481	19	12,903	23
11,644	41	5,908	30	12,687	41
3,732	20	3,062	39	8,550	26
12,972	42	5,565	48	6,724	43
14,085	50	3,878	41	16,912	50
583	31	1,751	31	8,914	23
4,068	39	18,072	18	17,294	2
8,828	10	11,460	6	16,788	9
3,435	28	10,113	35	1,977	8
17,914	15	10,320	31	14,481	29
261	23	767	40	17,641	15
7,323	6	242	21	7,990	49
1,236	18	5,010	42	5,951	28
9,997	15	1,644	48	16,856	40
14,468	14	8,941	10	16,320	45
16,442	26	7,239	16	8,912	25
9,708	12	11,054	37	19,800	21
11,148	6	14,506	23	8,199	31
19,027	6	15,726	17	17,106	40
18,347	13	954	29	6,116	48
9,346	20	12,083	32	15,256	1
19,707	13	724	50	11,482	1
18,534	8	4,898	43	12,097	17
10,997	5	1,441	50	11,089	6
787	12	4,336	33	10,725	44
12,974	42	17,324	17	11,611	32
2,745	35	10,091	6	12,271	11
17,717	31	1,186	22	560	46
15,817	32	906	2	4,684	46
7,886	16	13,588	8	8,497	40
2,494	19	6,270	30	13,400	36
11,001	27	19,833	16	477	50
14,096	29	16,884	9	7,965	21
18,136	30	15,411	34	18,503	23
7,910	28	19,745	16	3,264	41
2,648	34	1,256	20	13,059	7
12,485	50	424	11	16,578	13
17,384	31	19,135	49	5,370	39
309	38	6,967	41	11,241	30
976	13	7,543	29	3,852	40
16,387	29	18,437	40	18,615	19
16,107	13	19,798	43	18,974	50
16,626	45	17,786	23	12,658	22
12,920	16	7,813	42	350	30
10,367	32	17,789	38	9,353	13
14,905	28	12,811	6	2,874	18
19,143	34	12,401	21	7,362	17
15,813	27	661	6	19,178	8
5,102	16	19,119	32	15,668	29
1,293	31	3,425	45	19,190	42
18,981	30	12,063	20	4,294	42

სერის ბილეტი.		სერის ბილეტი.		სერის ბილეტი.	
N	N	N	N	N	N
7,142	26	19,134	12	3,216	30
2,883	47	2,188	8	2,471	1
5,400	30	1,577	22	8,042	44
16,853	10	5,035	25	6,374	40
7,052	14	4,443	32	17,147	29
7,871	34	3,460	26	17,093	32
13,058	19	12,162	16	4,501	21
12,631	8	14,600	19	5,222	30
10,870	38	5,013	37	5,345	15
98	34	9,128	31	118	21
10,125	42	18,192	34	8,253	10
15,752	4	5,148	16	10,388	27
19,193	15	4,746	31	9,731	4
7,828	19	11,423	11	4,813	5
10,474	8	19,423	25	3,699	35
14,567	12	14,025	3	3,124	14
1,875	29	15,541	32	10,981	1
8,073	5	86	41	9,487	38
6,789	17	17,635	45	18,299	28
5,579	19	9,909	1	3,927	2
2,691	50	589	2	3,588	1
3,467	34	14,245	18	5,890	34
19,125	32	15,148	23	15,853	29
13,177	43	12,985	45	10,882	45
18,635	5	13,867	45	19,215	24
13,962	8	7,888	25	12,056	20
13,273	17	4,797	23	6,451	10
10,694	38	8,888	9	9,069	19
15619	42	18,756	42		

მეექვსე ტირაჰი პირველი შინაგანი ხუთ
პროცენტის ვალის გადახდის ბილეთებისა,
რომელიც მოხდა იანვრის ორს.

ნუმერი სერისა.

19,234	1,231	18,337	10,333
7,795	561	18,962	14,995
2,954	999	18,034	6,142
6,388	19,901	6,979	9,496
3,074	19,162	12,265	16,505
19,670	2,918	13,082	1,362
15,540	15,735	8,102	11,918
13,962	19,600	3,047	14,375
6,503	339	328	19,391
7,344	14,316	8,834	15,311

გიორგი მუხაჰაის სხობვა.

IV.

თიბათის პირველი დღეებია. ბუნება მშვე-
ნიერია ამდროს. ბევრი რამ არის ესლა შემ-
კული თავის სიკეთით. მინდვრებში ყანებს
თავთავი შემოსილი აქვთ და დღეს თუ ხვალ
მოკლიან ნამგლის პირს. ბაღებშიაც ყველა
ხეს ნაყოფი ზედა აქვს; ზოგი მომწიფებულია
და ზოგსაც აქა-იქ თვალი შერევა. მავს მტე-
ნები ემსება და მარცვლებში წყალი უდგება.
მე რომ დროს მოგახსენებთ, ეს დრო მეტის-
მეტათ მოსავლიანი იყო; ლამის ბებრებიც კი
იძახდნენ, რომ ამისთანა მოსავლიან წელი-
წადს ჯერ არ მოსწრებოდნენ. შეველა სულ-
დგმული მოხარული იყო, სარჩოს ბევრს მო-
ვლოდა. ზოგი ორმოვებს სთხრიდა, რადგანაც
იცოდა, რომ ძველი ორმოები არას გაუხდე-
ბოდა; ქვევრებსა შოულობდა, რომ ღვინის
მოსავლისათვის ადგილი ჰქონოდა. მართი სი-
ტყვიო, ყველა იმასა ფიქრობდა: როგორ და
სად შეენახა ეს აუარებელი მოსავალი. ბიო-
რგიც ხშირათ გავიდოდა ხოლმე ამ წელიწადს
მინდორში და რომ დახედავდა თავის ნახნავ-
ნათესას, სიხარულით არ იცოდა, რა ექნა.
ახლა კი ღმერთმა მიშველოა, იძახდა ხოლმე,
ჩემ ბედს ძალი არ დაჰყვესო; ეს მოსავალი
რომ სულ საღათ მოვიტანო შინაო, მაშინ
მე აღარა მიშავსარო, ვალეებს სულ გავისტუ-
მრებო. ამ ბუნების მდიდრად შემკობილებამ
დიდხანს ვერ შესძლო, დეკორაცია მალე გა-
მოიცვალა; ხალხის იმედიც და სიხარულიც
სრულებით მოიფუშა: ერთ დღეს დილით სო-
ფელ შოთვეში საშინელი ტირილი და ჩოჩ-
ქოლი გაჩნდა, ახლა ყველა თავსა და ბედს
იწყევლიდა; ბუნების და ღვთის მომღერაობა
უფრო უარესი იყო. მცხოვრებთაგანი ტირი-
ლით და ქოჩრის გლეჯით ზოგი აღმა მირ-
ბოდა და ზოგი დაღმა დასათვალისწინებლათ,
გაღურჩა ვისმე რამე, თუ არა. მართი სიტყვით
ამ დილით იმ სოფელში ძალიანი არეულობა
მოხდა; თავის ღონეზე და თავის ქერქში აღა-

რავინ იყო, სულ სხვა შეხედულობას წარმო-
ადგენდნენ. ამის მიზეზი გახლდათ იმ დამეს,
გათენების დროს მოსული სიტყვა, წვიმა და
ქარიშხალი. წინა საღამოზე თუმცა ცაზე და
ძირსაც მყუდროთ იყო, მაგრამ აქა-იქ გრო-
ვდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფათ შავ-შავი ღრუბ-
ლები, რომლებიც ხეირიანს არას მოასწავებ-
დნენ. ბევრნი დროულნი ჯაცებთაგანი კიდევ
მიხედნენ მომავალს უბედურებასა და იწყეს
ლოცვა ღვთისადმი; რომ მოეშორებინა ეს
განსაცდელი, მაგრამ მეორე დღეს საშინელს
და სამწუხარო სანახავს წარმოადგენდა სოფე-
ლი. იმის შემხედველს, რაც უნდა ქვის გული
ჰქონოდა, მაინც თვალმზერა ცრემლს მოჰგერი-
და, მეტადრე თუ ენახა წინაღობის მისი მშვე-
ნიერება. სიტყვას საცოდავთ ჩაეღწეა მომ-
წიფებული პური და ქერი და ამას რომ ზედ
მოჰყოლოდა ნიაღვარი, რომელსაც წამოვლო
მთებიდან ქვიშა და ლამი და სულ ზედ გა-
დაფარებინა ნახნავ-ნათესისათვის, ისე გაეს-
წარებინა ნათესობა მიწასთან. რომ უცხო
კაცს ზგონებოდა აქ თავის დღეშიაც არა თე-
სებულარაო. არც ბაღებს ეყარა ხეირი; ხეხი-
ლებს და ვაზებს სულ ტრატები ჰქონდა დამ-
ტვრეული და ძირს ეყარა; ფოთოლი აღარა-
ფერს ჰქონდა შერჩენილი და აღარც ნაყოფი.
აქა-იქ თითო-ოროლა მტევანიდა თუ სჩანდა
გახრეკილ უფოთლო ვაზის ტრატებზე; აქაც
ყველაფერი სულ ძირს იყო ჩამოსული. რაც
მწიფე იყო, სულ დახეთქილიყო და დაჰყლე-
ტილიყო და რაც მკვებე—ეს ხომ ისევ გამო-
უდგარი იყო. ამ ბუნების მოვლენამ ბიო-
გი ძალიან შეამწუხარა და ბიორგის დიდასაც
ისეთი ელი დასცა, რომელმაც ქვეშ ამოიღო
და ვეღარც წამოუდგა. იმას იმ დღესვე წაუ-
ვიდა გული და უშაღდემდის ძლიერს მოასუ-
ლიერეს. მაგრამ მოსულიერებასაც მოსული-
ერება ჰქვიან,—ის ლოგინიდან ვეღარ წამო-
დგა. მისცა საშინელი სიცხე, რაღაცა ბოღვა
დაწყებინა, გადქეცა საოფლეოთა და მეთხუ-
თმეტე დღეს სამუდამოდ გამოესალმა ამ წუ-
თის წოფელსა. ბიორგის მწუხარებას ახლა ეს
მიემატა. იმის უბედურება ძნელი გადასატანი
იყო. მისი მეზობლები მაინც ისე იძახდნენ,
რომ „ეს ბიჭიც დედას თან გაჰყვებო“, თუმ-
ცა კი ბიორგი მაინც მძლეველი გამოვიდა ამ
გარემოებიდან. მართლა რომ შესაბრალისი
იყო საწყალი ბიორგი ამ წელიწადს. მინამ
დღედა ცოცხალი ჰქვანდა და ლოგინში ეწეა,
ეს ცეცხლსა და წყალში იყო, არ იცოდა რა
ექნა, დედას მოსჯდომოდა გვერდითა, თუ წა-
სულიყო მინდორში და ფოცხა ნახეტყვი ყა-
ნები, რომ ზამთარში ზვე მაინცა ჰქონოდა ხა-
რებისა და ძროხების გამოსაკვებად. რომ ილა-
ჯი გადუწყდა ბევრი ჯაფისა და უძილობისა-
გან და დედის მობრუნებაც თანდათან საეჭვო
გაუხდა, ბიორგინ შეატყობინა თავის დედას,
რომელიც მაშინვე მოვიდა დის ყურის საგ-
დებლათ. ბიორგის თუმცა ახლაც ძალიან ემ-
ნელებოდა დედის მოშორება, მაგრამ ახლა
მაინც უფრო გულიანათ მოდიოდა ხოლმე
სამუშაოთ, რადგანაც იცოდა, რომ დედასა
ჰყვანდა ყურის მგდებელი. სამეტ დღეში, რა
დროც მოუწია ბიორგის ზოგიერთი ყანების
მოფოცხაში და დაბუღუღებაში, ბევრი ღამე
გაუტარებია უძილოთ და ამ დროშივე იშვი-
ათათ, თუ იმას თვალი მშრალი ჰქონია. ის
ცალკე სტიროდა მომავალს სიმშინს და მწუ-
ხარებას და ცალკეც თავის დედის უმიდრო
მყოფობას. ბევრი ობოლი ცრემლი გადმოვა-
რდნილა ამ ხანში იმის შავი თვალებიდან და
მოურწყავს ახლათ ამოსული ქორფა უღვა-
შები. ის თანდათან სიკეთეს მოელოდა, თან-
დათან წარმატებას ეძებდა, რომ სიბერის დროს
მაინც გაეპატრონებინა თავისი საყვარე-
ლი დედა. იმის გულითადი სურვილი ისე
იყო, რომ დედას არაფერი ნაკლულივანება
არა ჰქონოდა რა და აი ის დედა, რომელიც
მას სულით და გულით უყვარდა, რომლის
სიკეთისთვისაც ისა სცდილობდა—ის დედა

იმას ახლა, ხელიდან ეცლებოდა. მშავი ფეხ-
ვისთავსაც უდებოდათ ცულ მდგომარეობაში
ხედავდა; ესლა სახლკარის მომვლელი ვინა
ეყოლებოდა? ახლა იმან არ იცოდა რა ექნა,
შინა ყოფილიყო და ოჯახობისთვის მოეველო,
თუ გარეთ ყოფილიყო და მისთვისვე ვზრუ-
ნეა. ბიორგის დედა გადაიცვალა მეთხუთმეტე
დღეს სიტყვიანობის შემდეგ. რასაკვირველია,
როგორც მოგვხსენებთ, ცხედარს დამარხვა
უნდა. ამასთან ჩვენებური ქელებიც ხომ
მოგვხსენებთ! ამ ჟამად ბიორგის მთელი სო-
ფელი თავს დააწეა. მღვდელსა და დიაკონ-
საც, რასაკვირველია, საკადრისი გასტუმრება
უნდოდა. ქველადფერი ხარჯსა და ფულსა თხ-
ოულობდა და ამან მოინდომა ბიორგის უკა-
ნასკნელი სარჩო-ქონება. ამ შემთხვევამ ბი-
ორგის გააყიდინ მამისეული ცხენი, ძროხე-
ბი და ოციოდეც ცხენარი—ეს არცკი გაუხდა,
კიდევ სხვა ვალებს აღბაც მოუწია. მცხე-
დარი დედა როგორც იყო გაისტუმრა და ახ-
ლა შეუდგა კალოს ლეწვასა. მც კალომდის
გამოვიდა და ეს სულ გაუწიავებლათ ჩაყარა
საბძელში, რადგანაც გამოსავალი არაფერი
ჰქონდა. იმან პირველი კალოს განიავება სცა-
და, მაგრამ ერთი ლიტრის ტოლა ხევი ძლი-
ეს დადგა. ამიტომ ბიორგინ სიტყვა: „ჩიტი
ბტყენათ არა ღირსო და დეენა მეტიო“ და
განიავებას მიანება თავი. ამის შემდეგ შეუ-
დგა პურის შოვნის თავდარიც. მც და ათი
ცხენარი კიდევა ჰყვანდა—ესენი გაყიდა და გა-
ემგზავრა სომხეთისაკენ, სადაც ამ წელიწადს
გვარიანი მოსავალი იყო; იყიდა ამ ფულებით
ოცდა ათი კოდი პური და ათიც ქერი, მაგრამ
ეს რას გაუხდებოდა? მესლათაც არ იყო.
ახლა იშოვა სარგებლით ფულები და გაემგ-
ზავრა იმერეთისკენ და იქ თხუთმეტოდე კო-
დი სიმინდი იყიდა. ათი კოდი პური და ეს
სიმინდი ერთი ერთმანეთში გადაურია, და-
ფქვა და ამით აპირებდა ზამთარში გამოკ-
ვებასა. ღანარჩენი პური და ქერი კი დათესა.
მაი ლაჩრობის ცხოვრება იყო, როგორც ბი-
ორგინ გაატარა ზამთარი. ამ ზამთრისთვის ბი-
ორგის ოცდა ათი კოდი ნარევი პურ-სიმინ-
დის მეტი არა ჰქონია რა. ხორაგიც არ იშო-
ვებოდა იმის სახლში. სამარხეო არა მოვიდა
რა, რადგანაც ლობიოც, ცერცვიც და სხე. სულ
დასეტყვა ისე ქორფობის დროს და ნაყო-
ფი არა მოუტანია რა. სახსნილო სოფლისა
რძე და მაწონია, მაგრამ ამასაც მოაკლდნენ,
რადგანაც ძროხებიც და ცხენებიც გაყიდეს
და ზოგიც ქელებში დახარჯეს. სოტაოდენი
ბურღული გათუთქეს, ერთი ლიტრაც, თუ უფ-
რო მეტი, დედისაგან დარჩენილი ერთო ჰქო-
ნდათ და ორი გორგოლაც ღოლო—ეს იყო
იმათი სარჩო საბადებელი მთელს წელიწადს
ხსნილშიაც და მარხეშიაც. მს ყველაფერი
შემოდგომას ძლიერს ეყოთ და ზამთრისთვის
კი დარჩნენ წმინდაზედ მოკეცილნი. წამლათ
რომ მოსდომებოდათ, იმათ სახლში არა იშო-
ვებოდა რა, ცოტაოდენი ნარევი ფქვილის
მეტი. ამასაც ბიორგის უფროსი და, რომე-
ლიც მოიყვანა სახლიდან ყმაწვილების ყუ-
რის საგდებლათ, ათასანართ აწვალებდა, რომ
ყმაწვილებს სველი საკმელი ჰქონოდათ. ხან
ფაფას გააკეთებდა, ხან ხინკილოსა, ხან ვინ
იცის რამდენს სახეს შისცემდა. ამან მეტის-
მეტი ხელონება გამოიჩინა ამისთანა საქმეში,
ეტყობოდა, რომ იმას სახლშიაც ბევრჯელ
გამოველო ამისთანა დღეები.—მს მთელი სა-
ხლობა ატარებდა დროებას ნახევარზე მშვი-
რი; ბევრი დღე დაღამებულა და ღამე გათე-
ნებულა, რომ მთელი სახლობა უნ. ყოროთა
მსხდარა გულხელ დაკრეფილი; ეს იყო მეტა-
დრე მაშინ, როცა ნარევი ფქვილი გამოვილი-
ათ. მთელი ორი კვირა დღეში თითო ხლის
გულის ტოლა მკაღს თუ შესკამდნენ ხოლმე,
ხან ესეც არ ჰქონდათ. ტირილი მოუვიდოდა
კაცს, რომ შეხებდნა ამ სახლობის ყმაწვილე-
ბისთვის; ერთს არ ედო ადამიანის შვილის
ფერი, სულ ცერ—მიმხდლნი იყვნენ, თითქო



სამართლი ამოღებულნი არიანო. შიორგიც ისე შეწყობდა, რომ არც ამას ელოდა კაცის ფერი; გახდა საშინლოთ ცალკე მწუხარების გამოისობით და ცალკე სიმშობისა. სიმინდის მჭადი, და ისიც ნაკლებათ, ბევრს ვერასა მატებდა იმის გეგმს, რომ შეემსო ჯაფისაგან და მწუხარებისაგან დაკლებული ნაწილები. ახლანდელი იმას არა ანუგეშებდა რა, ყველაფერი მწუხარებას და დარდს უმრავლებდა და უძლიერებდა. მომავალში ელოდა სიკეთეს, მაგრამ ამანაც კი უმუხთლა, როგორც შემდეგ ვნახეთ. შქელი შემოაკლდათ შუა მარტში. შიორგი ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მაგრამ ბევრ ხანს ვერა გახდარა. ბოლოს ახალქალაქში მიავნო ერთ ვაჭარს ურისას, რომელსაც ძველი პური ჰქონდა და სარგებლით აძლევდა. შიორგიმ დაუწყო ხეწენა, რომ ამისთვისაც ესესხებინა, მაგრამ იმან მტკიცე უარი უთხრა, „მე ვერ გიციობ და ვერ განდობო“. შიორგის თავით მოწყვეტილი წელი ამ უარმა უარესათ მოსწყვიტა და შეაწუხა. იმას ეხლა თვალწინ ედგა ს ხლობის მომავალი მდგომარეობა და შიმშილით ამოწყვეტა. ეს ისარივით გულს უწყლავდა იმასა, არ იცოდა რა ექნა. ახლა ის სიკვდილსა რჩეულობდა, და მადრიელიც იქნებოდა, ვინც ამ წადლს აუსრულებდა, რომ არ ენახა თავისი სახლობის უბედურება. სწორეთ რომ ძნელი გადასატანი იყო ეს მდგომარეობა და საექვოც იყო აქედგან გამოსვლა. მაგრამ ბედზედ ამ დროს შეხება ერთს ვაჭარს მეფარხეს, რომელიც შიორგის სოფელში ხშირათ დადიოდა და კარგათაც იცნობდა. ეს დაუდგა თავდებათ და როგორც იყო გამოურთო თხუთმეტი კოდი ხორბალი, რომელშიაც ნახევარზე მეტი მიწა და ჩალაბულია ერია. სარგებელი უნდა მიეცა ათზე თექვსმეტი და ისიც სულ დარკვეული და გარეცხილი. შიორგი და ნუ დასთანხმებოდა, მეტი ილაჯი რომ არსათ იყო? შიორგიმ აიწყო ხორბალი, მწარეთ გაიქნია თავი, „დრონი მეფობენო“ სთქვა და შეუდო ურუმზე. შინ რომ მოვიდა და ეს ხორბალი გააკეთებინა დასაფეკველათ, თხუთმეტი კოდი საგან ათი კოდი ძლიეს დარჩა, სხვა სულ ნაგავი იყო. რასაკვირველია არც ეს ეყოფოდა ახალ მოსავლამდის, მაგრამ წინწილით გამოიზოგეს. ახლა მალე გაზაფხულდა, ბუნება ყვავებოდა აქა-იქ საქმელი ჩნდებოდა. შიორგის დარბოდნენ თუ ბაღებში, თუ მინდვრებში, თუ ტყეებში, ხან ქინჯარი მოჰქონდათ, ხან სატაკური ან სეინტრი, ხან სოკო და სევა მრავალი, რითაც მდიდარია გაზაფხულის ბუნება. შიორგის სახლობას ამით დღე-დღეურით გამოჰყვანდათ თავი; თუ ყოველთვის მძღობები არ იყვნენ, მაგრამ მინც შიმშილით სიკვდილის შიში აღარ იყო. როგორც იყო ატარებდნენ დროებასა.

ამ ხანობაში მოსავალიც შემოვიდა, ლამის შიორგის დრო არის. შიორგი რომ უყურებდა ეს ლანდელს ყანებს, უწინდელი უბედურება სულ ავიწყდებოდა; უმისოთ ძნელი გადასატანი იყო წინა წლის უბედურება. მინდვრის ნათესობამ ისე მოიწია, რომ დღეს თუ ხვალ ნამგალი უნდა შეეტანათ. აქა-იქ მუშებს ათვალერებდნენ. მეტადრე ვისაც ბევრი ნათესი ჰქონდა და თითონ ვერ მოუხედეობდა, სინარულში იყო. მადრიელი იყო ლეთისაც და ხალხისაც. მაგრამ ამ სინარულმა ბევრხანს არ გასწია. შიორგი დღეს დილით ათი საათი იქნებოდა, რომ უეცრათ დღე რაღამაც ჩამოაბნეოდა. ბევრს ეგონა, რომ მზე დაბნელებას აპირებდა. ამის მიზეზი გახლდათ ქვემოდად მომავალი ფრთებ-შესხმული კალია. მტყობნობათ, დალაღულნი იყვნენ და არც არა ეჭამათ რა. შიორგის ღამეს სულ იფრინათ, რადგანაც გრილოდა, და ახლა რომ წამოცხა და ბინადნენ. ღაცენენ ბაღებსა, ყანებს და კარგი გახელებული მუშებივით დაუწყეს ჭამა.

რასაც კი დაასხდებოდნენ ხუთ-ექვს საათს იმ ალაგზე არაფერი იქნებოდა გასაგებელი ადგილის და ნაჭარის მეტი. სოფელში შეუდგათ საშინელი წოკობა და ფაცაფუცი; ზოგი თოფს ისროდა, ზოგი ზარბსა რეკავდა, ზოგმაც საყდრისკენ გასწიეს პარაკლისის სახედლათ, მაგრამ კალია ვერაფრით ვერ მოიშორეს. შინც ცოტადნათ მოხერხებული იყო, მაშინვე მუშებს დაუწყო ძებნა, ამათში შიორგიც ერია. შეყარა ბლოპათ მუშები და შეუსია ყანებში. შიორგი მოსული იყო, მომკის დროც იყო, მაგრამ პური კი ვერ ისევე ოღოშათ იყო. ამიტომ კალიებმა ქერს ბევრი ვერა დააკლეს რა, რადგან იმათი სატილო აღარ იყო, მარცვალნი შემავრებული ჰქონდა; მარტო ეს კი იყო, რომ თავთავებში სწყვეტდნენ და ძირსა ჰყრიდნენ, თითქო ჯაბრში დგანანო. რომ რასაცა ვერ შეესწამათ, გავაფუტოთ მაინცაო. შინა გეყურებინათ ხალხისა და ამ ცხოველების ბრძოლისთვის! შიორგი მხრიდამ მუშები დაჰკვირდნენ და რაც ძალა და ღონე ჰქონდათ იქნენდნენ გააღმასხებულ ნამგლებსა, და მეორე მხრიდამაც არხინათ თითქო აქ არაფერი ამბავიაო, გაჰქონდათ კნატა-კნუტი კალიების კბილებსა. ნამგლები შელებილი იყო წითელ-ყვითლათ და მოაკოებესაც ხელები შესერილი ჰქონდათ ნახოცი კალიებით; მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ, შეურხეველად ასხდნენ საქმელსა და გულიანათ შეეცეოდნენ. თითონ უცხო კაცსაც კი გული აუღულდებოდა, რომ შეხებად ამისთანა ბრძოლას თავის არსებობისთვის. ძალიებით კი საწყალ გლეხკაცებს ეჯიბრებოდნენ! ხალხის ეს მწუხარების გამოთქმა ძნელია; ამის გარდა გასაგებათაც კი ძნელია, ვინც თითონ არა ყოფილა იმისთანა მდგომარეობაში. ამას კი ვიტყვი, რომ ვინც ეცადა და მხნობა მოიხმარა, ნახევარი მაინც გადაარჩინა, ზოგმა მესამედი და ზოგმა კი სულაც ვერაფერი. შიორგიმ ნახევრის მომკა კი ჩაასწრო და დანარჩენი მოუტამეს. ამ მომკელს მოსავალი გვარინი ჰქონდა, თუმცა კი ხორბალი ძალიან მშვიდი და კილიანი იყო უნდილობის გამოისობით. შიორგიმ ამით ვერც ვალევი გაისტუმრა სრულიად და არცა რა ზამთრისთვის დარჩა სარჩოთ. ძიღვე ყიდვა მოუწოდებოდა და მასასადამე კიდევ ვალევის აღებაცა. ხილი და სხვა სახორაგეულიც არა მოუვიდა რა, ყველაფერი კალიამ მოსჭამა. მახს თუმცა მაგდენი ვერა დააკლო რა, მარტო ფოთლები შემოაკალა. მაგრამ შარშანდელს დაზიანებულს ძლიონ ცოტა ესხა, ეს ცოტაც სულ ნაცარ შეყრილი იყო და ამისთვის ცოტა გამოსავალი ჰქონდა. — ამ კვართ შიორგი ეხლაც ლამის ცარიელზე დარჩა მოკეცილი. მეტი ილაჯი აღარ იყო, უნდა კიდევ ეშოვნა სადმე უფლი ეალათ და წასულიყო პურის საყიდლოთ; მეტადრე უფრო იმისთვის, რომ წლევანდელი ხორბალი სათესლეთ სრულებით არ გამოდგებოდა. შიორგიმ შეება ურემი, ახსენა ლმერთი, მადლიანი პირჯვარი გადაიწერა და გაუდგა გზასა. ახლა წარმოუდგა იმას თვალწინ მთელი წარუთლი ცხოვრება, გული აემღერა და ფიქრს მიეცა: „მკ, ლმერთო! რა არის ამდენი უბედურება. მანა ისე უნდა დაილიოს ჩემი ცხოვრება. რომ ჩემ სიცოცხლეში სიკეთე არა ენახო რა? მანა ჩემნი დღენი სულ ამასთან სიღარიბეში და შევიწროებაში უნდა ვიყო? ალბათ ესა ყოფილა ჩემი ბედი და წერა, ტუდ ვარსკვლავზე დაგებადებულვარ. ჩემ სიცოცხლეში, ავერ ოცდა ოთხი წლის კაცი ვარ, ერთი დღეც ვერ დავმტკარებარ სინარულითა. სულ უბედურება და სულ ნაკლებევაწება! თუ ამან ბევრი ხანი გასწია, მე რაღა მიმანწყვიტებს სიბერემდის? — ავერ ახლავე თმა მითეთრდება.“

(შემდეგი იქნება).

დროების კორამსკონდენსია. ავერ რამდენი ხანა მსურს, ამ ყრუ მივარდნილ ადგილიდან გადმოგვით ცოტადნათ ცნობა ჰულოვის მოსეზე, რომელსაც ახლა აკეთებენ. ავერ ორი წელიწადი მეტია, რაც მთავრობამ იფიქრა შოსის გაკეთება ჰულოვამდის, რომ სოცდაგრებს ტრანზიტით მერობიდან აზიაში საქონელი ჩვენ მხარეზედ მიჰქონდნენ. ამ აზრით მთავრობამ შეადგინა კამიტეტი, რომელსაც უნდა მოეყვანა ცნობაში, რამდენი ვერსი იქნება ტფილისიდან ჰულოვამდის, გზა საით უნდა წავიდეს, რამდენი ხდები გაკეთდეს, რამდენი მასალა მოუნდება, რამდენი საყენი კლდე უნდა გაიჭრას და სულ რა ფასათ დაჯდება. ამიტომცა ეს საქმე პოდპოლოკონის მინჩას და სხვა ინჟინრების თანა-შემწეობით ძლიერ მალე შეასრულა და წარუდგინა სმეტა და ბლანი უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლათ. როგორც კი ეს სმეტა დაამტკიცეს, მაშინვე კამიტეტმა ეს გზა ნაჭერ-ნაჭერ, ანუ სტანციებთ დაჰყო და თითო-ორი სტანციებს იჯარით აძლევს კერძო პირებს. შესამუშავებლათ. ჰერ მიცემულია სხვა-და-სხვა პირებისათვის ზოქჩამდის (ორს ვერსამდის). ბევრს ადგილას, საცა რბილი მიწაა, ქვეშ-საგებს აკეთებს სამხედრო ხალხი (საღდათები). ამ გზის ზედამხედვეთ არიან ჯერ სამი ინჟინერი, მეისენგოფი, სკობინსკი და ზანუსევიჩი, ყველას თავისი ნაწილი, ანუ დისტანცია აქვს; ამათი თავს მჯდომარე არის ინჟინერი მინჩა (*). აბა, ჩემო მკითხველო, მანდეთ რკინისა და აქეთ შოსის გზების გაკეთება და იმათ საშუალებით დაახლოება საეაჭრო ქალაქებთან რამდენი მხრით სასარგებლოა: ტრანზიტით რომ საქონელი წავა-წამოვა ჩვენი მხარე შეიქნება მერობის და აზიის ვაჭრობისათვის შუა ადგილი; ამით ვაჭრობა და მიძრავ-მოძრავა დიდი იქნება, დროებით გაიძარება სხვა-და-სხვა კანტონები, ბანკირების სახლები და შემდეგ ფაბრიკებიც. ამას გარდა შარა გზები რომ გვექნება, ამოდენა უბედურობა გზებზედ ავაზაკებისაგან არ მოხდება. — ამ გზის შესამუშავებლათ უფრო ბევრი წილი ბერძნები არიან და მიძმე მუშაობას ესენი ასრულებენ; ამათში არიან ჩამდენიმე ხელოსნები საკმაოთ გონება-განსწილი და დანარჩენებზედ აქვთ გავლენა. ამათ რომ მუშაობა დაიწყეს, თავიანთ ნამუშევრიდან გაუწილეს ზოგმა ერთი, ზოგმა ორი პრაცენტი კანდიელების სასარგებლოთ, დანარჩენებმაც ბევრმა წილია ამათი მიზანდევით ამავე აზრით გამოიღეს და ერთს პატრეცემულს კაცს მიაბარეს, რომ მან გაგზავნოს რომელსამე კანდიელების კამიტეტში.

ეს კი ყველა კარგი და სასინარულიც არის, რომ მანდეთ რკინისა და აქეთ შოსის გზები რა გაგვიკეთდება, ვაჭრობაც გაგვეზღება ფაბრიკებიც გაჩნდებიან, მაგრამ თუ ჩვენ ესე გაუნათლებლათ და უზრუნველათ დაერჩით, ყოველთვის ვიძინეთ, მაშინ წინ ვერ წავალთ, იმ ვაჭრობით, ფაბრიკებით, მეურნეობით და ხელოვნობით ჩვენზედ განათლებულნი უცხო ხალხნი ისარგებლებენ. მაშ, ჩემო მკითხველო, ჩვენი თავის სასარგებლოთ ვეცადოთ და ყოველი ღონისძიება მოვიხმაროთ, გვენათლდეთ, რადგან ვაჭრობა, ფაბრიკები, მეურნეობა და ხელოვნობა განათლების ნაყოფია. ძაცუ რამდენათაც განათლებულია იმდენათ გონებით ამაღლდება, ქვემარტებას უახლოვდება, ეძლევა ძალა შემწყობის უნარს ამითი თითონაც ისარგებლოს, ხალხსაც მსარგებლოს და შეუმსუბუქოს იმას ჯაფა. ამის დასამტკიცებლათ ერთს მაგალითს გეტყვი. ჰკითხე ერთს გაუნათლებელს კაცსა, რა ძალაა რკინის გზაში, ანუ ტელეგრაფში, პირველი ასე ჩქარა მიდის და მეორე წამზედ ამბავს ატყობინებს. ის ვერ გიპასუხებს და თუ გიპასუხა სისულელეს რასმე გეტყვის. მაგრამ ჰკითხე ცოტადრე რიგიანათ ნასწავლს კაცს, ის მაშინვე აგისხნის და შენც მიგახედნს, ამიტომ ის თავის სწავლით დაახლოვებია იმ განათლებულს კაცს (გამომგონებელს), შეუტყვია მისი ძალა და ის, რასაკვირველია, მან უფრო პატრეს სცემს, ვინემც უსწავლელი განათლებული კაცი, უფრო მალე მიხედება ყველა ქვემარტებას, იცნობს მის ძალას და შენც იცი, მკითხველო, რომ სიყვარული ცნობისაგან წარმოდგება. მაშ, ჩემო მეგობარო, კიდევ გაგიმეორებ, რომ ჩვენ სასარგებლოთ ვიზრუნოთ, ვისწავლოთ, განათლდეთ, რომ გონებით ავმაღლდეთ. ჩვენ რომ საზოგადოთ განათლებით შეიძლება ჩვენ-შორის გამოჩნდნენ ტყუით ძალიან კაცი, რომელშიაც ჩვენი საზოგადო განათლების ძალა აღმოჩნდება და გამოიგონებს საკვირველს სასარგებლო რასმე.

ამ ჩემის წერილის ბოლოში ერთის ყმაწვილის პოეტის დაუბეჭდელს პოემიდან გამოვსწერ რამდენსამე ლექსსა:

„ღეს თუმცა თითონ ვერ ისარგებლებთ
 მქვენის ღვაწლისა ტურფა მოსავლით,
 შიოთ გულმოკლულნიც ცდას ნუ დაადებთ,
 შრუ ტყეში შარა გაჰაფეთ ძალით.“ (*)

შინც გინდა მოკვდე იმის კაფეში,
 მაინც გული ნუ დაგიღონდება;
 შაქმაც კი იცის, რომ თავის პარკში
 რა გააკეთებს, მყისვე მოკვდება.
 მაგრამ მას შიში ვერ დააყენებს,
 მუშაობს, გავძლევს დიდ შემწეობას.
 ნახეთ, მაგალითს რა კარგს გვიჩვენებს,
 შო, ჩვენც წავებაძოთ მისას მხნობას...“

„დროების“ კორამსკონდენსია.

1868 წელს იანვრის 4-სა
 წელეჟანი.

საბიბლიოგრაფიული ცნობა.

ის ყიდება
ტფილისში: მელიქიშვილის და კამპანის სტამბაში; ბერეშტამის, ალადათოვის და მწვიაჯიანის საწიგნო მაგაზინებში.

ქართული ანბანი
 და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის,

ვეფხვის-ტყაოსანი
 შასი ათი შაური.

ი ბ ე ქ დ ე ბ ა.
 ანბანის შემდგომ მოკმა საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, იაკობ ბოგებაშვილისა.

ქართული
 წარმოდგენა

მომავალს კვირაში, ყველიერში წარმოსდგება ნემეცის კლუბში ქართული კამედია „ქველსა და ახალს შუა“, თხზულება თ. აქაქი წერეთლისა.

(*) ამ ლექსით-ავტორი გვიჩვენებს, რომ უმეტრბას ვებძობლოთ.